**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**წარმომადგენლობითი საბჭო**
BOARD OF REPRESENTATIVES OF
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33 მის:
ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის -**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**წარმომადგენლობითი საბჭოს**

**დადგენილება №3(24/25)**
სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში
საუნივერსიტეტო და სხვა სტიპენდიების დანიშვნის წესის დამტკიცების შესახებ

ქ. ქუთაისი 11 სექტემბერი, 2024

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების შესაბამისად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო და სხვა სტიპენდიების დანიშვნის წესი დამტკიცდეს თანდართული ფორმით.
2. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: ნესტან კუტივაძე
პროფესორი

**სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში**
**საუნივერსიტეტო და სხვა სტიპენდიების დანიშვნის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1 ეს წესი შემუშავებულია უნივერსიტეტის წესდების 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

1.2. აღნიშნული წესი არეგულირებს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - აწსუ) სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო და სხვა სტიპენდიების დანიშვნას;

1.3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესი და შერჩევის კრიტერიუმები დადგენილია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. სახელმწიფო ქვეპროგრამის ფარგლებში (პროგრამული კოდი - 32 04 02 03) გაუცემელი თანხების სხვა სტუდენტებისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის წესი განისაზღვროს სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესისა და შერჩევის კრიტერიუმების თაობაზე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

1.4. დაუშვებელია სახელმწიფო სტიპენდიის მქონე სტუდენტს დაენიშნოს საუნივერსიტეტო და/ან სხვა სტიპენდია. სტიპენდიებს შორის რიგითობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

**1. სახელმწიფო სტიპენდია;**
**2. TBC ბანკის სტიპენდია;**
**3. საუნივერსიტეტო სტიპენდია;**
**4. სახელობითი სტიპენდია.**

1.3. სტიპენდია ენიშნება სტუდენტს სემესტრულად, ერთი აკადემიური სემესტრის ვადით;

1.4. სტიპენდია ინიშნება და გაიცემა წინა სასწავლო სემესტრის შედეგების გათვალისწინებით, სტიპენდიის კანდიდატებს შორის შერჩევის საფუძველზე;

**მუხლი 2. უნივერსიტეტის სტიპენდია**

2.1. საუნივერსიტეტო სტიპენდიის კანდიდატად ჩაითვლება (შერჩევის კრიტერიუმია):

2.1.1. აწსუ-ს საბაკალავრო პროგრამის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის II სემესტრის სტუდენტი, რომელსაც ათვისებული აქვს I სემესტრით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და მისი საშუალო შეწონილი შეფასება[1] (წინა სემესტრის მიხედვით) მაგრამ არანაკლებ 91-ისა (მათ შორის, თითოეულ სასწავლო კურსში – არანაკლებ B (81-90 ქულა) შეფასება) - **მეორე სემესტრის აქტიური და საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტის შემთხვევაში. თანაბარი მონაცემების შემთხვევაში,** უპირატესობა მიენიჭება სტუდენტს, რომელსაც გააჩნია შემდეგი სახის აქტივობები ქვემოთ ჩამოთვლილი რიგითობით:

1) სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, სამეცნიერო პროექტში მონაწილეობა;
2) სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობაში, ინიციატივაში ჩართულობა (ტუტორი, სტუდენტური სერვისები, პროექტი „მე-უნივერსიტეტი“, სტაჟირებები).
3) საუნივერსიტეტო ტრენინგებში, სემინარებში, ვორკშოპებში, უნივერსიადაში მონაწილეობა;
4) არასაუნივერსიტეტო ტრენინგებში, სემინარებში, ვორკშოპებში მონაწილეობა;
5) საუნივერსიტეტო სპორტულ, სახელოვნებო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში მონაწილეობა.

აღნიშნული აქტივობები განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მათში მონაწილეობა შედგა სტიპენდიის დანიშვნამდე წინა სემესტრის განმავლობაში და დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

---

[1] საშუალო შეწონილი შეფასება გამოითვლება ფორმულით $(A_1xB_1 + A_2xB_2\ldots)/(A_{1+A2\ldots})$ სადაც A-საგნის კრედიტია, B - შეფასების ქულა.

2.1.2. **სხვა შემთხვევაში** - აწსუ-ს საბაკალავრო პროგრამების III, IV, V, VI და VII სემესტრის, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X და XI სემესტრის, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის III, IV, V, VI, VII, VIII და IX სემესტრის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის III, IV, V, VI, VII, VIII და IX სემესტრის სტუდენტი, რომელსაც ათვისებული აქვს გასული სემესტრებით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და მისი საშუალო შეწონილი შეფასება წინა სემესტრის მიხედვით, მაგრამ არანაკლებ 91-სა (მათ შორის, თითოეულ სასწავლო კურსში – არანაკლებ B (81-90 ქულა) შეფასება) შესაბამისი **სემესტრის საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტს, რომელიც აქტიურად იღებდა მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, პროექტებში, სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობაში, ინიციატივაში, ვორკშოპსა და ა.შ.**

**თანაბარი მონაცემების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სტუდენტს, რომელსაც გააჩნია შემდეგი სახის აქტივობები ქვემოთ ჩამოთვლილი რიგითობით:**

1) სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, სამეცნიერო პროექტში მონაწილეობა;
2) სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობაში, ინიციატივაში ჩართულობა (ტუტორი, სტუდენტური სერვისები, პროექტი „მე-უნივერსიტეტი“, სტაჟირებები).
3) საუნივერსიტეტო ტრენინგებში, სემინარებში, ვორკშოპებში, უნივერსიადაში მონაწილეობა;
4) არასაუნივერსიტეტო ტრენინგებში, სემინარებში, ვორკშოპებში მონაწილეობა;
5) საუნივერსიტეტო სპორტულ, სახელოვნებო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში მონაწილეობა.

2.2. აღნიშნული აქტივობები განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მათში მონაწილეობა შედგა სტიპენდიის დანიშვნამდე წინა ორი სემესტრის განმავლობაში და დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

2.3. სტიპენდია არ ენიშნება:

ა) სტიპენდიის დანიშვნის მომენტისთვის სხვა სტიპენდიის/ საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე სტუდენტს, გარდა იმ სტუდენტისა, რომელსაც აწსუ უწევს ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარებას და მიზნობრივი სტიპენდიის მქონე სტუდენტებისათვის;

ბ) სტუდენტს, რომელსაც სრულად არ აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ეტაპისთვის გათვალისწინებული კრედიტები;

გ) წინა სასწავლო სემესტრში მობილობით გადმოსულ სტუდენტს;

დ) სტატუსშეწყვეტილ და სტატუსშეჩერებულ სტუდენტს.

2.4. უნივერსიტეტის სტიპენდიის დანიშვნა ხდება უნივერსიტეტის ბიუჯეტით ამისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. უნივერსიტეტის სტიპენდია შეადგენს თვეში 150 (ას ორმოცდაათ) ლარს;

2.5. სტიპენდიები გაიცემა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საშემოდგომო/საგაზაფხულო სემესტრის სტუდენტებისთვის - საანგარიშო სასწავლო წლის პირველი ნოემბრის/პირველი აპრილის მდგომარეობით, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4 პროცენტის სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად.

2.6. ფაკულტეტისათვის კუთვნილ საუნივერსიტეტო სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვრება ამ ფაკულტეტის საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ერთსაფეხურიან, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხვულ სტუდენტთა კონტინგენტის 4%-ით.

2.7. ფაკულტეტის ფიქსირებულ საშემოდგომო/საგაზაფხულო სემესტრებზე რიცხვულ სტუდენტთათვის სტიპენდიების რაოდენობა განისაზღვრება ამ სემესტრების სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად;

2.8. ფაკულტეტზე სტიპენდიების განაწილება ხდება აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;

2.9. თუ კონკრეტული მიღების წლის მიხედვით სტიპენდიის სრულად ათვისება არ ხდება, მაშინ აუთვისებელი სტიპენდიების ოდენობა გადანაწილდება იმავე პროგრამის სხვა კონკრეტული მიღების წლის სტუდენტებზე იმავე პრინციპით;

2.10. საგანმანათლებლო პროგრამაზე აუთვისებელი სტიპენდიები გადანაწილდება იმავე ფაკულტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე, სტუდენტთა კონტინგენტის პროპორციულად;

**2.11.** კონკრეტულ ფაკულტეტზე აუთვისებელი სტიპენდიების რაოდენობები გადანაწილდება სხვა ფაკულტეტებზე, სტუდენტის საშუალო შეწონილი შეფასების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ 91-სა (მათ შორის, თითოეულ სასწავლო კურსში – არანაკლებ B (81-90 ქულა) შეფასება), ისე რომ საუნივერსიტეტო სტიპენდიანტთა საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4 %. შესაბამისი ფაკულტეტის ფინანსური შესაძლებლობის გათვალისწინებით, ფაკულტეტის საბჭოს თანხმობის საფუძველზე.

**მუხლი 3. TBC ბანკის სტიპენდია**

3.1 TBC ბანკის სტიპენდიის დანიშვნა ხდება TBC-ბანკის ფინანსური მხარდაჭერით. TBC ბანკის სტიპენდია შეადგენს თვეში 125 (ას ოცდახუთ) ლარს;

3.2 უნივერსიტეტში გაიცემა TBC ბანკის სტიპენდია, რომელიც ფაკულტეტებს შორის განაწილებულია სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად, თითოეულ ფაკულტეტზე არანაკლებ 1 ადგილისა;

3.3 აუთვისებელი TBC ბაკნის სტიპენდიები გადანაწილდება სხვა ფაკულტეტებზე სტუდენტთა კონტინგენტის პროპორციულად.

3.4 სტიპენდიის კანდიდატად ჩაითვლება (შერჩევის კრიტერიუმია):

აწსუ-ს საბაკალავრო პროგრამის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, რომელსაც ათვისებული აქვს I სემესტრით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და მისი საშუალო შეწონილი შეფასება[2] (წინა სემესტრის მიხედვით) მაგრამ არანაკლებ 91-სა (მათ შორის, თითოეულ სასწავლო კურსში – არანაკლებ B (81-90 ქულა) შეფასება) - **პროგრამის II სემესტრის საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტს, რომელიც აქტიურად იღებდა მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, პროექტებში, სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობაში, ინიციატივაში, ვორკშოპსა და ა.შ.**

**თანაბარი მონაცემების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სტუდენტს, რომელსაც გააჩნია შემდეგი სახის აქტივობები ქვემოთ ჩამოთვლილი რიგითობით:**

1) სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, სამეცნიერო პროექტში მონაწილეობა;
2) სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობაში, ინიციატივაში ჩართულობა (ტუტორი, სტუდენტური სერვისები, პროექტი „მე-უნივერსიტეტი“, სტაჟირებები);
3) საუნივერსიტეტო ტრენინგებში, სემინარებში, ვორკშოპებში, უნივერსიადაში მონაწილეობა;
4) არასაუნივერსიტეტო ტრენინგებში, სემინარებში, ვორკშოპებში მონაწილეობა;
5) საუნივერსიტეტო სპორტულ, სახელოვნებო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში მონაწილეობა.

**სხვა შემთხვევაში** - აწსუ-ს საბაკალავრო პროგრამების III, IV, V, VI და VII სემესტრის, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X და XI სემესტრის, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის III, IV, V, VI, VII, VIII და IX სემესტრის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის III, IV, V, VI, VII, VIII და IX სემესტრის სტუდენტი, რომელსაც ათვისებული აქვს გასული სემესტრებით გათვალისწინებული ყველა

[2] საშუალო შეწონილი შეფასება გამოითვლება ფორმულით $(A_1xB_1 + A_2xB_2\ldots)/(A_{1+A2\ldots})$ სადაც A-საგნის კრედიტია, B - შეფასების ქულა.

კრედიტი და მისი საშუალო შეწონილი შეფასება წინა სემესტრის მიხედვით, მაგრამ არანაკლებ 91-სა (მათ შორის, თითოეულ სასწავლო კურსში – არანაკლებ B (81-90 ქულა) შეფასება) - შესაბამისი **სემესტრის საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტს, რომელიც აქტიურად იღებდა მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, პროექტებში, სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობაში, ინიციატივაში, ვორკშოპსა და ა.შ.**

**თანაბარი მონაცემების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სტუდენტს, რომელსაც გააჩნია შემდეგი სახის აქტივობები ქვემოთ ჩამოთვლილი რიგითობით:**

1) სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, სამეცნიერო პროექტში მონაწილეობა;
2) სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობაში, ინიციატივაში ჩართულობა (ტუტორი, სტუდენტური სერვისები, პროექტი „მე-უნივერსიტეტი“, სტაჟირებები);
3) საუნივერსიტეტო ტრენინგებში, სემინარებში, ვორკშოპებში, უნივერსიადაში მონაწილეობა;
4) არასაუნივერსიტეტო ტრენინგებში, სემინარებში, ვორკშოპებში მონაწილეობა;
5) საუნივერსიტეტო სპორტულ, სახელოვნებო ღონისძიებებში, ოლიმპიადებში მონაწილეობა.

**მუხლი 4. სახელობითი სტიპენდია**

სახელობითი სტიპენდიის შემოღების, დანიშვნისა და გაცემის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ სახელობითი სტიპენდია გაიცემა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, მაშინ ასეთი სახის სტიპენდიის შემოღების, დანიშვნისა და გაცემის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსთან შეთანხმებით.

**მუხლი 5. მიზნობრივი სტიპენდია**

მიზნობრივი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი განისაზღვრება იმ იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ, ვისი მოთხოვნითაც დაინიშნება სტიპენდია, მისთვის სასურველი სტუდენტის წახალისების მიზნით. აღნიშნული სტიპენდიების დანიშვნის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს აკადემიურ საბჭოს.

**მუხლი 6. სტიპენდიის დანიშვნა**

6.1. სტიპენდიის დანიშვნა ხორციელდება რექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. სტუდენტთა საერთო კონტიგენტს, რომელსაც ენიშნება სახელმწიფო სტიპენდია შეიმუშავებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი ფაკულტეტებიდან მიღებული სიების შესაბამისად.

6.2. ფაკულტეტის სტუდენტთა სიას, რომლებსაც უნდა დაენიშნოს სახელმწიფო სტიპენდია ადგენს ფაკულტეტის დეკანი ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად და დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.